საჯარო სექტორში დასაქმებულთა წინაადმდეგ განხორციელებული დევნა

2025

Media Institute
მედიის ინსტიტუტი

საჯარო სექტორში დასაქმებულთა წინააღმდეგ განხორციელებული დევნა

ავტორი: ნატო მირზაშვილი

რედაქტორი: სოფო ბებერაშვილი

2025

სარჩევი

შესავალი 4

საჯარო სექტორში დასაქმებულთა მასობრივი გათავისუფლებები..... 5

გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებთან ჩატარებული ინტერვიუები - ძირითადი ტენდენციები და მიგნებები 9

სამართლებრივი ანალიზი..... 11

დასკვნა..... 12

რეკომენდაციები 12

შესავალი

2024 წლის 28 ნოემბერს ირაკლი კობახიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც შეეხებოდა ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის 2028 წლამდე გადადებას, მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა. საპროტესტო ტალღამ მოიცვა საჯარო სექტორში დასაქმებული პირებიც. როგორც ზემოაღნიშნულ განცხადებასთან, ასევე მშვიდობიანი პროტესტის კანონსაწინააღმდეგო და არაპროპორციული ფორმებით დარბევასთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირების გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების მიერ ერთობლივი განცხადებების გამოქვეყნება, რომლებიც ღია იყო ხელმოწერისთვის. განცხადებების გავრცელება 29-30 ნოემბერს საქართველოს განათლების სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსიპ იუსტიციის სახლის, საქართველოს ეროვნული ბანკის, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მერიის თანამშრომელთა მიერ დაიწყო. 30 ნოემბერს ასევე გავრცელდა საჯარო სექტორში დასაქმებულთა საერთო განცხადება, რომელიც 50-ამდე საჯარო დაწესებულების 460-ამდე თანამშრომლის/ყოფილი თანამშრომლის ხელმოწერას აერთიანებს. 1 დეკემბერს ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმაც. აღნიშნული პირების დიდი ნაწილი სამსახურიდან გაათავისუფლეს, რის საფუძველიც, მათი აზრით, სწორედ ზემოაღნიშნულ განცხადებებზე ხელისმოწერა გახდა.

განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა პოლიტიკური შეხედულების ნიშნით საჯარო სექტორში დასაქმებულთა დევნის მიზნით მათი გათავისუფლებისთვის ფორმალური საფუძვლების შესაქმნელად 2024 წლის 4 დეკემბერს პარტია „ქართულმა ოცნებამ“ დაიინიცირა კანონპროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც ძალაში 29 დეკემბერს შევიდა. კანონში შესული ცვლილებებით საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის, როგორც უვადოდ დანიშნული პროფესიული საჯარო მოხელის, სტატუსი ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირით შეიცვალა. აღნიშნულმა გაამარტივა მათთან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები შეეხო იმ დასაქმებულებსაც, რომლებზეც ცვლილებებამდე კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა. საჯარო სექტორში დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობა გაუარესდა დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის განხორციელების შემთხვევაშიც: კანონში შესული ცვლილებებით სავალდებულო აღარ არის რეორგანიზაციის შედეგად უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოხელის სამსახურში აღდგენა, ასევე, მიუხედავად მობილობის შესაძლებლობისა, რეორგანიზაციის პროცესში შტატების შემცირებისას დასაშვები გახდა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება.

სავარაუდოა, რომ 2024 წლის დეკემბრიდან დღემდე ზემოგანხილული და სხვა საკანონმდებლო ცვლილებები, დისკრიმინაციული მოპყრობა *(მტრული სამუშაო გარემოს შექმნა, ფულადი ჯილდოს გაუცემლობა, აქტივობებში მონაწილეობის მიღების უფლების შეზღუდვა და სხვ.)* და სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება გამიზნულად გამოიყენება იმ დასაქმებულთა გასაჩუმებლად ან/და დასასჯელად, რომლებმაც გამოხატეს თავიანთი პოზიცია 2024 წლის 28 ნოემბრიდან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

საჯარო სექტორში დასაქმებულთა მასობრივი გათავისუფლებები

(2024 წლის 1 დეკემბერი - 2025 წლის 1 ივლისი)

2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის აპრილის ჩათვლით არსებული მონაცემებით დაახლოებით 700 პირი გაათავისუფლეს საჯარო სამსახურიდან. გათავისუფლების ერთ-ერთი პირველი შემთხვევა **2024 წლის 2 დეკემბერს** დაფიქსირდა, როდესაც სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან ახალგაზრდული მიმართულების სპეციალისტი სალომე ცისკარაული, გაათავისუფლეს, რომელიც საპროტესტო აქციებში აქტიურად მონაწილეობდა. დირექტორმა გათავისუფლების მიზეზად ცენტრის ადმინისტრაციის ახალგაზრდულ პოლიტიკასთან სალომე ცისკარაულის ხედვის წინააღმდეგობა დაასახელა.

საჯარო სექტორში დასაქმებულთა გათავისუფლების პრაქტიკამ მასობრივი სახე 2024 წლის დეკემბრის ბოლოს მიიღო, როდესაც სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში მომუშავე რამდენიმე სოციალურ მუშაკს აცნობეს, რომ 2025 წლიდან მათ აღარ უგრძელებდნენ შრომით ხელშეკრულებას. 26 დეკემბერს სატელეფონო ზარის მეშვეობით პრობაციის ეროვნული სააგენტოს განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მედიატორს, გიორგი აბულაძეს, შეატყობინეს, რომ 2025 წლიდან ვეღარ იმუშავებდა მედიატორად. 25 დეკემბრით დათარიღებული გათავისუფლების წერილი მიიღო ქალაქ თბილისის მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა, გიგა სოფრომაძემ, რომელიც წარმოადგენდა მერიის თანამშრომელთა მიერ გავრცელებული ერთობლივი განცხადების ხელმომწერს და აქტიურად მონაწილეობდა საპროტესტო გამოსვლებში. 2024 წლის 25 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს პროფესიული კავშირის რეგისტრაციის განცხადებით მიმართეს როგორც მოქმედმა, ასევე გათავისუფლებულმა საჯარო მოსამსახურეებმა. 2024 წლის 27 დეკემბერს ასევე **ქალაქ თბილისის მერიის** რამდენიმე

თანამშრომელს ეცნობა, რომ მათთან 2025 წლიდან აღარ აგრძელებდნენ შრომით ხელშეკრულებას. ისინი წარმოადგენდნენ თბილისის მერიაში დასაქმებულთა მიერ გამოქვეყნებული განცხადების ხელმომწერებს და მონაწილეობდნენ პროევროპულ აქციებში.

2024 წლის 30-31 დეკემბერს გაიზარდა იმ საჯარო მოსამსახურეთა რიცხვი, რომელთაც 2025 წლიდან ათავისუფლებდნენ სამსახურებიდან. მაგალითად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომელს, მათე სოხაძეს, 30 დეკემბერს შეატყობინეს, რომ იანვრიდან აღარ უგრძელებდნენ შრომით ხელშეკრულებას. არასამუშაო დროს ანალოგიური შეტყობინება მიიღო **სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს** იურიდიული დეპარტამენტის სამმა თანამშრომელმა. **31 დეკემბერს** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თანამშრომელს, თამარ ლომაძეს, აცნობეს, რომ 2025 წლიდან თავისუფლდებოდა დაკავებული პოზიციიდან, რამდენიმე დღით ადრე კი დაიბარეს და ჰკითხეს, ისევ ივლიდა თუ არა აქციებზე.

31 დეკემბერს გათავისუფლების შესახებ შეტყობინება სხვადასხვა ფორმით მიიღეს არაერთი უწყების თანამშრომლებმა: **საქართველოს პარლამენტის** ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმის კურატორმა და გიდმა სოფიო თოდუამ; **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს** თანამშრომელმა ალექსანდრე გოგოლაძემ; **სსიპ იუსტიციის სახლის** ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ანა გაგნიძემ და შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა თათია უდესიანმა, რომელთაც მათთან წინა დღით გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეუწყვიტეს. ამავე დღის არასამუშაო საათებში ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება ასევე მიიღო **დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტოს** მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნინო ტყეშელაშვილმა, განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის უფროსმა კობა ბარამიამ და არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის უფროსმა ნათია ალიაშვილმა. 31 დეკემბერს რეორგანიზაციის განხორციელების შედეგად გაათავისუფლეს **ცენტრალური საარჩევნო კომისიის** თავმჯდომარის მრჩეველი ვაკო მაისურაძე, ხოლო შრომითი ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს ნინო კაციაშვილს. ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან *„რეორგანიზაციის“* საფუძველზე გათავისუფლებული სხვა თანამშრომლების ნაწილიც გათავისუფლებას 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციის დაფიქსირებას უკავშირებს. 31 დეკემბერს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტეს **ქალაქ თბილისის მერიის** თანამშრომელ ქრისტინა ჩუბინიძესაც რომელსაც სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია 2025 წლის 13 იანვარს თავისივე მოთხოვნით მიეწოდა.

2025 წლის დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ 10 იანვრის ჩათვლით საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთათვის გამოცხადებული იყო დასვენების დღეები, გათავისუფლების შესახებ შეტყობინება არაერთმა პირმა მიიღო, მათ შორის **სსიპ იუსტიციის სახლის** იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მეგი კაციტაძემ,

რომელსაც მასთან გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება ცალმხრივად შეუწყვიტეს. 2025 წლის 10 იანვარს, არასამუშაო დღეს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამშრომელს, მიხეილ ვალაშვილს, შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვისა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სატელეფონო ზარით აცნობეს. საჯარო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საჯარო სექტორში დასაქმებული პირები სოციალური ქსელებში აქტივობის მიზეზით გახდნენ/ხდებიან დევნის სუბიექტები - 2025 წლის 30 იანვარს ერთ-ერთი ე.წ. "პოსტის" "დაჰაჰავების" გამო სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის თანამშრომელი ნინო ხაზალაშვილი გაათავისუფლეს. პოზიციის დაფიქსირების შემდეგ სამსახურიდან გათავისუფლებების ტალღა **საჯარო სკოლებსაც** შეეხო - 2025 წლის 18 იანვარს გაათავისუფლეს ქალაქ თბილისის 54-ე საჯარო სკოლის მეტყველების და ენის თერაპევტი ლევან კოჭლამაზაშვილი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში. მუსიკის პედაგოგი და სამოქალაქო აქტივისტი სოფო როინიშვილი ჯერ 2025 წლის 23 თებერვალს ქუთაისის მე-6 საჯარო სკოლიდან, ხოლო 7 მარტს სოფელ გუმათის საჯარო სკოლიდან გაათავისუფლეს.

2025 წლის 7 თებერვალს ქალაქ ბათუმის, ლაგოდეხისა და ქალაქ რუსთავის **იუსტიციის სახლის** მენეჯერებს აცნობეს, რომ მათთან გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება ცალმხრივად 6 თებერვალს შეწყდა. **საქართველოს თავდაცვის სამინისტროში** დასაქმებულთა დევნა, ფაქტობრივად, 2025 წლის 23-25 თებერვალს დაიწყო, როდესაც სხვადასხვა დეპარტამენტის *„რეორგანიზაციის"* შედეგად სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებები, სულ მცირე, 10-ამდე თანამშრომელს მიუვიდა, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებს - *მიხეილ რამაზაშვილსა და გუცა გველესიანს,* რომელთაც თავდაცვის უწყებაში მუშაობის თითქმის 30-წლიანი გამოცდილება ჰქონდათ. 2025 წლის 19 მარტის მდგომარეობით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად **150-ამდე თანამშრომელი გაათავისუფლეს**, რომელთა ნაწილი ღიად აფიქსირებდა თავის პოზიციას 28 ნოემბრიდან მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისის მერიაში განსხვავებული შეხედულებების მქონე დასაქმებულთა მასობრივი დევნა 2025 წლის 5-14 მარტიდან "რეორგანიზაციის" საფუძვლით დაიწყო - აღნიშნულ პერიოდში გათავისუფლების შესახებ შეტყობინება 10-ამდე დასაქმებულს მიუვიდა. ქალაქ თბილისის მერიაში დასაქმებულთა მიმართ დევნის განზრახვა ჯერ კიდევ 2024 წლის დეკემბერში იყო გაცხადებული - კახა კალაძის მიერ დაფიქსირებული პოზიციით, მერიის თანამშრომელთა მიერ გავრცელებული საერთო განცხადება წარმოადგენდა საბოტაჟის მცდელობას, რაც პასუხგაუცემელი არ დარჩებოდა.

განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა პოლიტიკური ნიშნით თანამშრომლების დევნა 2025 წლის მარტში **აკადემიურ სექტორშიც** დაიწყო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს იურიდიული ფაკულტეტის ლექტორები - თამარ ტატანაშვილი, გიორგი ცერცვაძე და ირინე ხერხეულიძე. 2025 წლის აპრილში

გაათავისუფლეს თბილისის რამდენიმე საბავშვო ბაღის დირექტორი და თანამშრომლები, რომლებიც საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ.

2025 წლის თებერვლის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 1 აპრილიდან მოხდებოდა **სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს** ლიკვიდაცია და მის ფუნქციებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია შეითავსებდა. ნიშანდობლივია, რომ კანონში შესატანი ცვლილებები საჯარო სამსახურის ბიუროსგან დამოუკიდებლად მომზადდა, ბიუროს თანამშრომელთა დაახლოებით ნახევარი კი აღნიშნულ ცვლილებებს გაემიჯნა. გარდა ამისა, 2025 წლის 10 მარტს განხორციელდა **სსიპ საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის** ლიკვიდაცია. ცენტრის ყოფილი დირექტორის მიერ თანამშრომელთა თათბირზე გაკეთებული განცხადების თანახმად, ლიკვიდაციის მიზეზი ცენტრში დასაქმებული რამდენიმე ადამიანის აქტიურობა გახდა.

2025 წლის 4 აპრილს თბილისის მუზეუმების გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ნინო სანადირაძემ ელექტრონული სისტემით მიიღო განკარგულება, რომლის თანახმადაც, სამსახურიდან ვადამდე 2 წლით ადრე, 8 აპრილიდან, თავისუფლდებოდა, რასაც დირექტორის პოზიციის დატოვების შესახებ მის მიმართ გაჟღერებული მოთხოვნები უძღოდა წინ. 2025 წლის 4 აპრილს განკარგულება მიიღო ასევე **"თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების"** დირექტორმა ნინია მაჭარაშვილმა, რომელსაც თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების თანამშრომელთა საერთო განცხადების ინიცირებისა და საჯაროდ გამოხატული პროტესტის შემდეგ, 2024 წლის დეკემბერშივე, მოსთხოვეს დაკავებული პოზიციის დატოვება. ანალოგიურად, 2025 წლის 11 აპრილს სამსახურიდან გაათავისუფლეს **საზოგადოებრივი მაუწყებლის** თანამშრომლები - ნინო ზაუტაშვილი და ვასილ-ივანოვ ჩიქოვანი, რომლებიც სატელევიზიო ეთერშიც გამოხატავდნენ მხარდაჭერას აქციების დროს უკანონოდ დაკავებულთა მიმართ. დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა გამოიყენეს საზოგადოებრივი მაუწყებლის იმ 4 თანამშრომლის მიმართ, რომლებიც აკრიტიკებდნენ მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკას. მოგვიანებით საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გაათავისუფლეს გადაცემა "რეალური სივრცის" 5 თანამშრომელიც.

2025 წლის 16 აპრილს რეორგანიზაციის პროცესი დაიწყო **საქართველოს განათლების სამინისტროშიც** - გაუქმდა ინკლუზიური განათლების სამმართველო, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული და იგი სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს შეუერთდა. სამმართველოს გაუქმებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება **ინკლუზიური განათლების სამმართველოს** ხელმძღვანელმა, თამარ ჟღენტმა, 2025 წლის 6 ივნისს მიიღო. იგი წარმოადგენდა განათლების სამინისტროს თანამშრომლების მიერ გავრცელებული განცხადების ხელმომწერს და ღიად აფიქსირებდა თავის პოზიციას, რაც, მისი აზრით, გახდა სამმართველოს დამოუკიდებლობის გაუქმებისა და მისი გათავისუფლების მიზეზი.

2025 წლის 1 მაისს **საქართველოს საგარო საქმეთა სამინისტროშიც** დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც საერთო განცხადებაზე ხელმომწერი არაერთი დიპლომატი გათავისუფლდა - მაგალითად, ჟენევაში გაერთიანებული ერების განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომელი მარიამ მაისაია, ასევე სამინისტროში მომუშავე სხვა თანამშრომლები. **საგარეო საქმეთა სამინისტროდან** თანამშრომლების გათავისუფლება დღესაც გრძელდება - 1 ივლისს გაათავისუფლეს ნატო-ში ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი, თორნიკე ფარულავა, ხოლო 5 ივლისს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატიდან - მისი მეუღლე. **საქართველოს პარლამენტიდან** „შტატების შემცირების“ მიზეზით 2 ივლისიდან ასევე გაათავისუფლეს საბიუჯეტო ოფისის თანამშრომელი ხატია ვაშაყმაძე, რომელიც ამ ფაქტს კონსტიტუციის 78-ე მუხლის დაცვის გამო დასჯას უკავშირებს.

2025 წლის 30 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის **„საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“** თანამშრომლებმა მიიღეს შეტყობინება 1 ივლისიდან ცენტრის ლიკვიდაციისა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ცენტრის დირექტორის განცხადებით, სამომავლოდ ცენტრის ფუნქციებს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ევროინტეგრაციის დეპარტამენტი განახორციელებს. სავარაუდოა, რომ საინფორმაციო ცენტრის ლიკვიდაცია უკავშირდება *პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ევროპული და ევროატლანტიკური კურსის ცვლილებას*.

ზემოგანხილული საჯარო დაწესებულებების გარდა, დასაქმებულები ასევე გაათავისუფლეს საქართველოს **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან** [i], **სსიპ შემოსავლების სამსახურიდან**, საქართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან**, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურიდან, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურიდან, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან, სსიპ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან, რუსთავის მუნიციპალიტეტიდან, ადიგენის მუნიციპალიტეტიდან, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან, სიღნაღის მერიიდან და საკრებულოდან, ლაგოდეხის საკრებულოდან, ქალაქ ბათუმის ა(ა)იპ „ბათუმის მერიის სპორტული ცენტრიდან“ და ა.შ.

გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებთან ჩატარებული ინტერვიუები - ძირითადი ტენდენციები და მიგნებები

2025 წლის ივნისში მედიის ინსტიტუტმა ჩაატარა ინტერვიუები იმ საჯარო მოსამსახურეებთან, რომლებიც 2024 წლის 28 ნოემბრიდან ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციის დაფიქსირების შემდეგ გაათავისუფლეს სამსახურიდან. გათავისუფლებული თანამშრომლების უდიდესი ნაწილი, როგორც საჯარო მოსამსახურეების მიერ საჯაროდ გავრცელებული, ასევე ინტერვიუების ფარგლებში

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გათავისუფლების შესახებ შეტყობინებას ძირითადად იღებდა არასამუშაო დღის [ii] ან *არასამუშაო საათების* [iii] განმავლობაში. დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა ელექტრონული ფოსტის[iv], საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის[v] ან *სატელეფონო ზარის*[vi] მეშვეობით, საჯარო მოსამსახურეთა ნაწილს <u>ძირითადად არაგონივრულად მცირე ვადაში</u> - 1 დღით ადრე - აფრთხილებდნენ, რომ აღარ უნდა გამოცხადებულიყვნენ სამსახურში, ხოლო ნაწილს - *Post factum,* სამსახურში გამოცხადების შემდეგ.

გათავისუფლებული რესპოდენტებიდან თითოეული სხვადასხვა ფორმით გამოხატავდა პროტესტს, მათ შორის *სოციალურ ქსელში* ე.წ. "პოსტების", თემატური "სთორების" დადებით[vii], ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერების საწინააღმდეგო *განცხადებებზე ხელის მოწერით* [viii] , *საპროტესტო გამოსვლებში* მონაწილეობით [ix] , სატელევიზიო ეთერების მეშვეობით *ინტერვიუების მიცემით* [x] , საჯარო მოსამსახურეთა *პროფესიულ კავშირში გაერთიანებით*[xi], საპროტესტო თემატიკის მაისურით სამსახურში გამოცხადებით[xii] და სხვ.

რესპოდენტების სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლებად გამოიყენეს როგორც დაწესებულების *ლიკვიდაციის* [xiii] , ასევე *ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტისა* [xiv] და *შრომითი ხელშეკრულების ვადის* არგაგრძელების [xv] მექანიზმები. სხვა საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლების საფუძვლად ასევე გამოყენებული იყო *რეორგანიზაციის*[xvi] თვითნებური მექანიზმი.

რესპოდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირების შემდეგ მათ მიმართ შეიცვალა როგორც ხელმძღვანელი პირების, ასევე თანამშრომლების დამოკიდებულება, რაც გამოიხატა *კომუნიკაციისაგან თავის შეკავებით*[xvii], არმისალმებით[xviii], მნიშვნელოვან აქტივობებში *(შეხვედრები, მივლინებები, ტრენინგები) მონაწილეობის შეზღუდვით,* ეთიკური და ჯანსაღი სამუშაო გარემოსთვის შეუსაბამო ქცევებით[xix] და სხვა დისკრიმინაციული ქმედებებით *(მაგ., ფულადი ჯილდოს გაუცემლობა)*. რესპოდენტთა ნაწილმა გათავისუფლებამდე არსებული სამუშაო გარემო **მტრულ გარემოდ** შეაფასა[xx].

აღსანიშნავია, რომ ყველა რესპოდენტი თავის გათავისუფლებას **პირდაპირ უკავშირებს მათ მიერ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობას** და თვლის, რომ საჯარო სექტორში ინსტიტუციური მეხსიერების მქონე პროფესიონალი კადრების პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლება *აუცილებლად მოახდენს გავლენას* იმ პროდუქტებისა და სერვისების ხარისხზე, რომლებსაც საჯარო სამსახური აწვდის მოსახლეობას.

სამართლებრივი ანალიზი

საჯარო სექტორში დასაქმებულთა მიმართ განხორციელებული დევნა - მათთვის მტრული სამუშაო გარემოს შექმნა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების მიზეზით სამსახურიდან გათავისუფლება - არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლს, რომელიც *დაუშვებლად მიიჩნევს ადამიანის დევნას აზრისა და მისი გამოხატვის გამო*. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი განამტკიცებს სახელმწიფოს ვალდებულებას ცნოს და დაიცვას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, როგორც *წარუვალი და უზენაესი ადამიანური ფასეულობები*. იმ საჯარო მოსამსახურეთა მიმართ განხორციელებული დევნა, რომელთაც საჯაროდ გამოხატეს თავიანთი აზრი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, წარმოადგენს თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევას. შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვას ასევე ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი".[xxi]

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი კრძალავს სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე პირის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვას ან მათი განხორციელებისთვის ხელის შეშლას დისკრიმინაციული ნიშნით[xxii]. თანასწორობის პრინციპს განამტკიცებს ასევე "საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის N200 დადგენილების მე-14 მუხლი, რომელიც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა პირზე ვრცელდება, განურჩევლად დასაქმების სამართლებრივი საფუძვლისა[xxiii].

აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობის გამო საჯარო სექტორში დასაქმებულთა მიმართ განხორციელებული დევნა არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ *გამოხატვის თავისუფლებას*, რომელიც მოიცავს პირის უფლებას, ჰქონდეს შეხედულებები და გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად. საჯარო მოსამსახურეთა მიმართ განხორციელებული დევნა ასევე ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლს, რომელიც კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას კრძალავს ყოველგვარ *დისკრიმინაციას*. საჯარო სექტორში დასაქმებული კრიტიკულად განწყობილი ადამიანების თვითნებური გათავისუფლება ეწინააღმდეგება გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მე-7[xxiv] და მე-19 მუხლებს[xxv], „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-19[xxvi] და 26-ე მუხლებს[xxvii] და, თავისთავად, „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ" N111 კონვენციით განსაზღვრულ დისკრიმინაციის დაუშვებლობის ფუნდამენტურ პრინციპს.

დასკვნა

საჯარო სექტორში დასაქმებულთაგან კრიტიკული მასის გათავისუფლება *სახელმწიფო პოლიტიკის გაცხადებულად* ნაწილად იქცა. პარტია „ქართული ოცნების“ მიერ კრიტიკულად განწყობილი საჯარო მოსამსახურეების სამსახურებიდან გათავისუფლება ეწინააღმდეგება დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებს, საფრთხეს უქმნის *საჯარო სამსახურის ეფექტიანად ფუნქციონირების* პროცესს და მათ შორის იმ პროდუქტის/სერვისის ხარისხს, რომელსაც აღნიშნული სექტორი გასცემს. საჯარო სამსახურიდან მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე, ღირებულებების ერთგული პირების გათავისუფლება ზრდის ნეპოტიზმის, საჯარო სამსახურის პოლიტიზირებისა და მისი არაკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების რისკს. ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებულ დევნას ასევე ექნება *„მსუსხავი ეფექტი”*- საჯარო სამსახურში საქმიანობისგან თავს შეიკავებენ კადრები, რომლებიც შესაძლოა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობის გამო დევნის სუბიექტები გახდნენ. ამავდროულად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებაში უკანონო ჩარევა საფრთხეს უქმნის ქვეყანაში კანონის უზენაესობასა და დემოკრატიას, ვინაიდან აღნიშნული ინსტრუმენტული უფლებების სრულფასოვანი გამოყენების შესაძლებლობა დაკავშირებულია სხვა უფლებების რეალიზებასთან.

რეკომენდაციები

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას (ILO):

- უზრუნველყოს როგორც პარტია „ქართული ოცნების“ მიერ 2024 წლის 28 ნოემბრიდან უკანონოდ გათავისუფლებული, ასევე მოქმედი საჯარო მოსამსახურეების უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლა, მათ შორის საგამოძიებო (მოკვლევის) კომისიის შექმნის გზით;
- შეიმუშაოს რეკომენდაციები 2024 წლის 28 ნოემბრიდან უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეების უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ *(კომპენსაციის გაცემა, სამსახურში აღდგენა, ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა და სხვ.)* და მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“ შეასრულოს აღნიშნული რეკომენდაციები.

- *საჯარო სამსახურში დასაქმებულთა პროფესიული კავშირების გლობალურ გაერთიანებას - „საერთაშორისო საჯარო სამსახურს“* (PSI) და *„საჯარო სამსახურის ევროპულ კავშირს“* (EPSU):

- მოუწოდონ პარტია „ქართულ ოცნებას“, პატივი სცეს და დაიცვას საჯარო სექტორში დასაქმებულთა უფლებები, მათ შორის იმ პირების უფლებები, რომლებიც საჯარო მოსამსახურეთა დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირში („კონსტიტუციის 78-ე მუხლი“) არიან გაწევრებული;
- მოუწოდონ პარტია „ქართულ ოცნებას“, უზრუნველყოს პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი საჯარო სამსახურის არსებობა.

ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ფუნქციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს

➢ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას:

- როგორც სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფლებამონაცვლემ, საქართველოს საჯარო სამსახურის მასშტაბით უზრუნველყოს სამართლიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი კონკურსების გამოცხადება და ჩატარება;
- შეისწავლოს მოხელეთა სამსახურში მიღების, შეფასების, საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან გათავისუფლების დღეს არსებული პრაქტიკა, ასევე გააანალიზოს სამოხელეო სამართლებრივი დავები და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები.

➢ საქართველოს სახალხო დამცველს:

- უზრუნველყოს იმ საჯარო მოსამსახურეთა განცხადებების/საჩივრების *სწრაფი* და *ეფექტიანი* გამოკვლევა, რომელთაც სახალხო დამცველის აპარატს განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა პოლიტიკური შეხედულების ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესაძლო დარღვევის დადგენის მიზნით 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმართეს;
- საკუთარი ინიციატივით შეისწავლოს იმ საჯარო მოსამსახურეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესაძლო დარღვევის, ასევე შესაძლო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტები, რომელთაც 2024 წლის 28 ნოემბრიდან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარი აზრი დააფიქსირეს;

➢ საქართველოს საერთო სასამართლოებს:

გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეების სარჩელებზე *(უკანონო გათავისუფლების დავები, დისკრიმინაციის დადგენა)* უზრუნველყოს *სწრაფი, ეფექტიანი, სრული* და *ობიექტური* მართლმსაჯულების განხორციელება სამართლიანი სასამართლოს უფლების თითოეული კომპონენტის დაცვით.

➢ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს:

მოქმედი/გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეების მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელი განიხილოს *ობიექტურად*, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების გზით.

[i] ნოე მეგრელიშვილი, ეკატერინე ბენდელიანი.
[ii] 2025 წლის 2 ივნისს მ.კ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 29 ივნისს მ.ვ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[iii] 2025 წლის 5 ივნისს ნ.ტ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 15 ივნისს ა.გ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[iv] 2025 წლის 15 ივნისს ა.გ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 24 ივნისს ს.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[v] 2025 წლის 2 ივნისს მ.კ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 4 ივნისს ს.ნ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 5 ივნისს ნ.ტ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[vi] 2025 წლის 29 ივნისს მ.ვ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[vii] 2025 წლის 2 ივნისს მ.კ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 4 ივნისს ს.ნ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 7 ივნისს მ.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 15 ივნისს ა.გ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 24 ივნისს ს.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 29 ივნისს მ.ვ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[viii] 2025 წლის 2 ივნისს მ.კ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 4 ივნისს ს.ნ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 5 ივნისს ნ.ტ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 7 ივნისს მ.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 15 ივნისს ა.გ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[ix] 2025 წლის 2 ივნისს მ.კ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 4 ივნისს ს.ნ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 5 ივნისს ნ.ტ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 7 ივნისს მ.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 15 ივნისს ა.გ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 24 ივნისს ს.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 29 ივნისს მ.ვ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[x] 2025 წლის 2 ივნისს მ.კ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 4 ივნისს ს.ნ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 5 ივნისს ნ.ტ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 24 ივნისს ს.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[xi] 2025 წლის 2 ივნისს მ.კ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 4 ივნისს ს.ნ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 5 ივნისს ნ.ტ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 29 ივნისს მ.ვ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[xii] 2025 წლის 7 ივნისს მ.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[xiii] 2025 წლის 4 ივნისს ს.ნ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 7 ივნისს მ.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[xiv] 2025 წლის 2 ივნისს მ.კ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 5 ივნისს ნ.ტ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[xv] 2025 წლის 15 ივნისს ა.გ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 24 ივნისს ს.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 29 ივნისს მ.ვ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[xvi] ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვ.
[xvii] 2025 წლის 2 ივნისს მ.კ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 4 ივნისს ს.ნ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 5 ივნისს ნ.ტ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 7 ივნისს მ.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[xviii] 2025 წლის 4 ივნისს ს.ნ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 5 ივნისს ნ.ტ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[xix] 2025 წლის 7 ივნისს მ.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 24 ივნისს ს.თ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[xx] 2025 წლის 4 ივნისს ს.ნ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 5 ივნისს ნ.ტ-სთან ჩატარებული ინტერვიუ; 2025 წლის 15 ივნისს ა.გ-სთან ჩატარებული ინტერვიუ.
[xxi] მე-4 მუხლი.
[xxii] მე-9 მუხლი.
[xxiii] პროფესიული საჯარო მოხელე, შრომითი/ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.
[xxiv] კანონის წინაშე თანასწორობა.
[xxv] აზრისა და გამოხატვის თავისუფლება.
[xxvi] აზრის შეუფერხებლად გამოხატვის უფლება.
[xxvii] კანონის წინაშე თანასწორობა.